სახალხო გაზეთი+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ხითარიშვილი

● №3 (4626) ● 23 აპრილი ● 2025 წელი ● saxgani@gmail.com ● ფასი 2.00 ლარი

„ქრისტე ალსდგა!“ – „ჯეშმარიტად!“

ჩვენი სტუმარია 92-ე სკოლა

მეცნიერებათა დოქტორი – სკოლის დირექტორი

თითებზე ჩამოსათვლელია საჯარო სკოლებში დირექტორებად მეცნიერებათა დოქტორები. მათ შორის, გამორჩეულია 92-ეს მესვეური **მიხეილ ჩიქოვანი,** რომელსაც მხარს უმშვენებენ გამოცდილი მოადგილე **მზევი ცომაია** და ძლიერი პედაგოგები. ბატონ მიხეილს არ უყვარს ქება. ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავალთ.

როგორ დაამთავრეს პირველი სემესტრი და რას გვპირდებიან?

თბილისის 92-ე საჯარო სკოლის დირექტორი **მიხეილ ჩიქოვანი** არის ეკონომიკის დოქტორი და ამავე დროს მენტორ მასწავლებელიც, მენტორ მასწავლებლები არიან აგრეთვე **სოფიო თავაძე** და **მაია ზაქარაია**. წამყვანი პედაგოგები კი – **მერი ჩიქოვანი, მაგული ცხადაძე, მზიურ გურგულიანი, ნინო ჭოლიკიშვილი, დალი გოშუა, ნინო ომარაშვილი.**

2023-24 სასწავლო წელი 5 ოქრო და 2 ვერცხლის მედლით დავასრულეთ.11-მა მეცხრეკლასელმა მიიღო ჯილდოდ „**ჩემი პირველი კომპიუტერი**“. გვყავს ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეები. ეროვნული ოლიმპიადის „**ქართული ენისა და ლიტერატურის**“ მე-3 ტურში გადავიდა ჩვენი XII კლასელი **თინათინ ლონგიშვილი** (პედაგოგი **დალი გოშუა**). მათემატიკის ოლიმპიადა“**ევერესტში**“ ჩვენმა მე-6 კლასელმა მოსწავლემ **კესარია კუჭუხიძემ** საუკეთესო შედეგი აჩვენა და ოქროს ათეულში მოხვდა. ასევე, ოქროს ტურში ყველა ამოცანა უშეცდომოდ ამოხსნა და პირველი ადგილი მოიპოვა (პედაგოგი **მზევი ცომაია**).

ამჟამად, სკოლა მუშაობს სასკოლო პროექტზე კონფლიქტების მართვის განხრით.პროექტს ჰქვია „კონფლიქტების მართვა სიძლიერის და განათლების ნიშანია“.

ამ თემაზე მუშაობს სკოლის ყველა პედაგოგი და ყველა კლასი. მოვისმინეთ ბევრი კარგი გაკვეთილი და ღონისძიება. გამოვყოფთ მე-7 კლასში ჩატარებულ ღონისძიებებს:„**გალაკტიონის შინაგანი კონფლიქტი**“ (პედაგოგი **სოფო თავაძე**) და მე-4 კლასში ჩატარებულ ღონისძიებას: „**მგელი და კრავი**“ (პედაგოგები **ეკატერინე ამბროლაძე** და **თეა ჯაჭვაძე**).

მე-6 კლასში ჩატარებულ ღონისძიებას-კონფლიქტების მართვა **არჩილ სულაკაურის** მოთხრობების„ **ბიჭი და ძაღლის**“ მიხედვით. (პედაგოგი **რუსიკო ქოჩორაძე**).

სტატია მზად იყო დასაბეჭდად, რომ მივიღეთ მეტად ღირებული ინფორმაცია.

ჩატარდა მეტად ღირებული, ცხრა აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ ბატონი მიშას აღმზრდელი 139-ე სკოლის (დირექტორი **ნოდარ ქავთარაძე**) ძალებიც.

36 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მრავალტანჯულ საქართველოს სულსა და სხეულს სამუდამოდ დააჩნდა კიდევ ერთი მძიმე ჭრილობა-1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი კვირა-ეს ის დღეა, როცა უმოწყალოდ დაჩეხეს და დაწამლეს მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილე ათასობით ადამიანი, მხოლოდ იმისთვის, რომ თავიანთი სამშობლოს მთლიანობა, ერთიანობა და თავისუფლება სურდათ და გულისწადილი საჯაროდ, ყველას გასაგონად გამოხატეს. ანტისაბჭოთა მოძრაობა (საჯაროდ) განსაკუთრებით 1989 წლის დასაწყისიდან გააქტიურდა.



მიშას დედა და მისი შვილები პატრიოტთა რიგების აქტიური წევრები იყვნენ. უფროსი **მიხეილ ჩიქოვანი** მე-10 კლასის მოსწავლე იყო.

მისი მოსწავლეობის ბოლო წლები (1988-90) სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ქართველი ხალხის მოთმინების, თვითშეფასებისა და მონობაში ყოფნის დრო იწურებოდა.... ფრთებს ისხამდა, მათი დიდი სურვილი, თავიანთი სამშობლო, რუსეთის იმპერიის მონობისგან განთავისუფლებული ენახათ.

9 აპრილის დილით მისი ტოლებიც დაიღუპნენ. მიხეილი სულით ხორცამდე იყო შეძრწუნებული, უნდოდა მისი სიტყვა ეთქვა, ტკივილი რამით გამოეხატა. გადაწყვიტა, მოეძია საჭირო ინფორმაცია ყველა გარდაცვლილზე, შეადგინა 300 მდე ამოცანა, რომელთა პასუხები იქნებოდა გარდაცვლილთა სახელსა და გვარში ასოთა რაოდენობა, მათი წლოვანების გამომსახველი რიცხვებიდან, ნაშრომი გაიტანა მოსწავლეთა 44-ე სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა,

მიხეილი დააჯილდოვეს განათლების სამინისტროს პირველი ხარისხის სიგელითა და მეცნიერებათა აკადემიის დიპლომით.

139-ე საშუალო სკოლამ,1990 წლის 9 აპრილს აღნიშნა ტრაგედიიდან ერთი წლისთავი. ჰყავდათ მოწვეული სტუმრები, როგორც სამინისტროდან, ისე დედაქალაქის სკოლებიდან. მიხეილის ნაშრომი-ამოცანათა კრებული მათემატიკაში, მიძღვნილი 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნისადმი-

გაგრძელება მე-2 გვ.

მუხრან ქალდანი

დედაენა ხატული

ჩემი გული ტაძარია,
ნაშენები ღვთისაგან,
ჩემი სული ამ გულშია,
შთაბერილი ღვთისაგან.

ამ ტაძარში ეს კედლები,
მე მოვხატე ღვთისავარ,
ამ გუმბათზე დედაენა,
ხატულად ვქმენ ღვთისავარ.

ეს ანბანი სამი სახით,
ბოძებული ღვთისაგან,
ეს ხომ სიტყვა, თვით სამება,
ერთი ღმერთი ღვთისავარ!

ამიტომაც ეს ანბანი
ხატად შევქმენ ღვთისავარ.
შენ გინახავს, ჩემო ძმაო,
ბიბლიური სამოთხე?

ეს მხარეა, სამშობლოდ მაქვს,
წილხვედრილი ღვთისაგან,
აი, ეს კი წერილია,
კარს მომდგარი მტრისაგან,

ყველაფერი თვითონ უნდა,
თუ რამე მაქვს ღვთისაგან.
ვერ მივართმევ,
არცერთს დავთმობ,

ყელ გამომჭრას მტრისამან,
ქართველი ვარ, მულახელი,
შენ ხომ იცი, ღვთისავარ!

14/IV – ქართული ენის დღე

გიორგი ლეონიძე

„დედა–ენა“

წიგნი ჩვენი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ვარდნაბამი ფურცელი,
ჩვენს ყრმობაში ჩართული!

დედის ძუძუ მეორე,
სიყვარული პირველი,
ჩვენს აკვანს შემომჯდარი
მგალობელი ფრინველი.

იავნანის ნიავში
ჩვენს ყურთან რომ გაისმა,
ყრმობა რომ გვისურნელა,
როგორც ბაღი მაისმა.

ტკბილად რომ გაგვიხარა
ჩვენ ბავშვობა ბეჩავი –
შავი კაბით გაზრდილებს,
გახუნებულ ლეჩაქით.

ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ოქროსხმიან სიმებად
გულში ამოხლართული.

ამ წიგნიდან გაბრწყინდა
ქართლის დიდი მთიები,
პირველ ფურცელს გაშლიდა
გამოხატულს იებით.

ის ამ წიგნში უსმენდა
ნაკადულს და ტოროლებს,
საწყალ ხარის ტირილსა,
ხმასევდიან ოროველს.

ხმას გაყინულ კაცისას,
სიცივით რომ კვდებოდა,
მზე საწყალი კაცისა
გორას მიჰფარებოდა.

მას უყვარდა ეს წიგნი,
ჭრელი აბგის მშვენება,
მოიგონებს და შუქი
გულზე დაეშენება.

ვიგონებთ და გვახარებს,
რომ აქვს გულში ჩართული, -
ჩვენი წიგნი ლამაზი,
”დედა ენა” ქართული!

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

ჩვენი სტუმარია 92-ე სკოლა

პირველი გვერდიდან

თავიდანვე გახდა რესურსი, რომელიც ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სისხლად დაღვრილ მამულიშვილებს ეხმიანება.

– რესურსი, რომელსაც სიბერე არა აქვს ხვედრად!

– ჩვენი სამშობლოს ბედი, უდანაშაულოდ დაღუპულ მამულიშვილების სისხლი, მოსვენებას არ აძლევდა და მისი განცდების წიაღში დაიბადა ასეთი იდეა-დახატა გული, ირგვლივ არშიად შემოავლო ასოები: **„აპრილის**

სისხლიანი კვირა“, ზემოდან კი გველის დახვეული კუდი და მის შვეულად ცხრა. გულიდან სისხლი, საქართველოს მიწაზე იღვრება, იმ ადამიანების სისხლი, რომლებმაც სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას შესწირეს, გველი კი ამ სისხლით იკვებება,1989 წელი გველის წელიწადი იყო.

ტრაგედიიდან 10 წლის თავზე,99 წელს თავისი საკონფერენციო თემა, მცირედი შესწორებებით, წიგნად გამოუშვა და იქედან მოყოლებული წიგნი ერთ-ერთი საუკეთესო რესურსი გახდა მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის.

როდესაც მკითხველი წიგნზე მუშაობას დაიწყებს და გარეკანის ილუსტრაციას აღიქვამს, ფურცლებს მორიგეობით გადაშლის, მას ტანში ჟრუანტელი დაუვლის, ინტერესი გაუძლიერდება, როგორც შინაარსის გაცნობის, ისე ამოცანების ამოხსნის. აღნიშნული წიგნი საუკეთესო მასალაა როცა ვემზადებით 9 აპრილის ღონისძიებისათვის.

1999 წლის 9 აპრილს 139-ე სკოლაში ჩატარდა გრანდიოზული ღონისძიება, მიძღვნილი 9 აპრილის უდანაშაულოდ დაღუპულთა ხსოვნისადმი. დერეფნის კედლებზე გაკრული იმ მოსწავლეთა ნამუშევრები, შედგენილი ამოცანები, ცალკეულ გარდაცვლილთა შესახებ ინფორმაციები, სურათები. კედლის შუაგული ეჭირა პლაკატზე გამოსახულ ნახატს – გულს, რომელიც დარჩა სიმბოლო, მისი ხანდაზმულობის ასაკი – 9 წელია. კორიდორი სავსე იყო ხალხით... ამ ვითარებაში მოხდა წიგნის პრეზენტაციაც.

სტუმრების წინაშე სევდიანი წარსულის ფურცლები გადაიშალა, საოცარი საღამო იყო. სტუმრებს(კურსდამთავრებულები, მშობლები, დედაქალაქის სხვადასხვა სკოლის პედაგოგები) ტიტეებთან ერთად საჩუქარად გადაეცათ აღნიშნული წიგნები.

ამჟამად, მიხეილ ჩიქოვანი 92-ე საჯარო სკოლის დირექტორია, პარალელურად ასწავლის მათემატიკას. დედა **მერი ჩიქოვანი** ორ სკოლაში მუშაობს, 139-ე და 92-ე-ში. მიუხედავად ასაკისა, სიამოვნებით ართმევს თავს. წლევანდელი წელიწადიც გველის წელიწადია და გადაწყვიტეს სკოლის მასშტაბით აღენიშნათ.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან 36-ე წლისთავი. არნახული დამოკიდებულებაა სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის. ერთსულოვნება იგრძნობა ნებისმიერი საქმის წამოწყებიდან ბოლომდე მიყვანის პროცესში. აღნიშნულს სათავეში უდგას დირექტორთან ერთად, სასწავლო ნაწილის გამგე, ქალბატონი **მზევი ცომაია**.

9 აპრილისადმი მიძღვნილ ღონისძიებას კვლავ მიშას დედა ჩაუდგა სათავეში. ასწავლის მე-5[1] კლასს და ამიტომაც ღონისძიების სულისჩამდგმელები იყვნენ ამ კლასის პატარები (დამრიგებელი **ნატო მაისურაძე**).

ღონისძიებისადმი მზადება თებერვალში დაიწყეს, კლასი დაიყო 4 გუნდად. აირჩიეს კაპიტნები. გარდაცვლილთა გვარები გაუნაწილა ჯგუფებს შორის, მიეცათ დავალება.

თითოეულ ჯგუფს უნდა აეღო რვეულები და რასაც გააკეთებდნენ ყველაფერი შიგ უნდა ჩაეწერათ, რასაც საჭიროდ ჩათვლიდნენ, მაგრამ დახმარებას ითხოვდნენ.

ჯგუფს უნდა შეედგინა ამოცანები, არანაკლებ 25-ისა, რომელთა პასუხები იქნებოდა იმ დაღუპულთა სახელისა და გვარში ასოთა რაოდენობისა, რომლებიც ჯგუფს განაწილებით შეხვდა.

ჯგუფებს უნდა გაეფორმებინათ კედლის გაზეთები, სადაც განათავსებდნენ დაღუპულთა შესახებ მოპოვებულ მოკლე ინფორმაციებს. ასევე მათ მიერ შედგენილ ამოცანებს, ლექსებს.

ზეპირად უნდა ესწავლათ თითოეულზე სიტყვები, ლექსები, მოემზადებინათ მუსიკის მასწავლებლის დახმარებით სიმღერები.

ამ დავალების პარალელურად ,მიხეილის წიგნიდან უნდა აეხსნათ ამოცანები. კლასის მუშაობის ძირითადი სამუშაო წყარო აღნიშნული წიგნი იყო.

ბავშვების პასუხისმგებლობამ მოლოდინს გადააჭარბა, მათ დიდ დახმარებას უწევდა დამრიგებელი და მუსიკის მასწავლებელი, ქალბატონი **ნატო მაისურაძე** და **თეა ჯაჭვაძე.** ღონისძიება ჩატარდა 7 აპრილს, 13 საათზე, საღამოს უძღვებოდნენ ამავე სკოლის მოსწავლეები **მედეა მელაძე** და **გურამ ჩიქოვანი**.

არაჩვეულებრივი საღამო იყო, თითქმის თვალწინ წარმოგვიდგინეს წარსულის ფურცლებიდან სევდიანი დღეები. ბავშვების ნამუშევრებთან ერთად 35 წლის წინანდელმა სათუთად შენახულმა ტრაგედიის ამსახველმა კედლის გაზეთმა ყველას ყურადღება მიიპყრო და ბევრის გაოცება გამოიწვია.

საღამო ამავდროულად იყო მიხეილის წიგნის პრეზენტაცია **„მათემატიკის ამოცანათა კრებულის“**, რომელიც ეძღვნება 9 აპრილის დაღუპულთა ხსოვნას.

სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეებმა თავიანთი სკოლის უსაყვარლეს დირექტორს გადასცეს **შოთა რუსთაველის** უკვდავი ქმნილება **„ვეფხისტყაოსანი“**.

ასეთია 92-ე სკოლელთა **„საქმე სიტყვიანი და სიტყვა საქმიანი“.**

სულ წინ გევლოთ, კოლეგებო!

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან!

ბებოს გულის ვარდი
(ეტიუდი)

კახეთის გზატკეცილი. ნაირფრად აფეთქებული აპრილი, სიმწვანით შებურვილი. მერცხალა ბიჭის ჭიკჭიკიც თან ერთვის.

– ბებო! ბებო! – არ ასვენებს შეკითხვებით.

– ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი? – მეც ვეკითხები.

–ბებოს გულის ვარდი ვარ.

ჰოი, საოცრებავ! ეს ბებო ხომ **დარეჯან ლაბარტყავაა,** ჩემი ნამოწაფარი, 139-ე სკოლის ჩინებული პედაგოგი.

მოგონებები, მოგონებები და ჩუმი ნატვრა: „ეხ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს ჩვენი ბავშვობა და სილამაზე“, თუმცა ბებოს სილამაზე ახლაც შენარჩუნებული აქვს.

– რა გქვია ბიჭიკო?

– **ლუკა** ვარ **გერსამია**, მეორე კლასის მოსწავლე. მალე მესამეკლასელი გავხდები.

– ბებოს გარდა კიდევ ვინ გიყვარს?

– პირველი მასწავლებელი **ხათუნა წერეთელი**, ბავშვებს „შეგვასწავლა ანი-ბანი, შეგვაყვარა დედაენა, თავს გვევლება, ფრთებს გვისწორებს, რომ თამამად შევძლოთ ფრენა“.

„საუკეთესო მასწავლებლები ასწავლიან გულიდან და არა წიგნიდან“ – სწორედ ასეთი პედაგოგია ქ.თბილისის 139-ე საჯარო სკოლის, დაწყებითი საფეხურის, წამყვანი სტატუსის მქონე მასწავლებელი **ხათუნა წერეთელი**, რომელმაც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შემოაღო ამ სკოლის კარი და უკვე 32 წელია მაღალი პროფესიონალიზმითა და თავდადებული შრომით ემსახურება საყვარელ საქმეს – მომავალი თაობის აღზრდას.

ხათუნა მასწავლებლის აზრით, მასწავლებლობა მეტად საპასუხისმგებლო პროფესიაა, თითქმის გამადიდებელი შუშის ქვეშ ექცევა შენი საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, შენი მოსწავლეების წინაშე, რაც დიდ პასუხისმგებლობას გვანიჭებს.

მისი აზრით, მასწავლებელს ბევრი დადებითი თვისება უნდა ჰქონდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია სვამდეს კითხვებს და უსმენდეს პასუხებს, რათა ყველა მოსწავლემ თავი ადამიანად იგრძნოს.

ბევრი მოსწავლე, რომლებსაც მან საფუძველი ჩაუყარა, მრავალ პროფესიაში წარმატებული ადამიანები არიან.

ამჟამად **ხათუნა წერეთელი** მე-2 კლასს ასწავლის. როგორც უკვე ავღნიშნეთ, მაღალი პროფესიონალიზმითა და დაუღალავი შრომით კარგ შედეგებსაც აღწევს. მისი ერთ-ერთი მოსწავლეა **ლუკა გერსამია**, რომელსაც ხათუნა მასწავლებელი მაღალ შეფასებას აძლევს. მისი აზრით, ლუკა ნიჭიერი და უნარიანი ბავშვია. სწავლას და სასწავლო პროცესს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. ყველა საგანი უყვარს, მაგრამ მათემატიკა განსაკუთრებით. ლუკას აქვს მეგობრული ურთიერთობა თანატოლებთან. იგი არის ტოლერანტი და კეთილგანწყობილი თანაკლასელების მიმართ, ასევე თავაზიანობას იჩენს მასწავლებლის მიმართაც.

აღსანიშნავია, რომ ლუკა მესამე თაობაა ოჯახში, რომელიც მშობლებმა 139-ე საჯარო სკოლაში შეიყვანეს. მისი ბებია, **დარეჯან ლაბარტყავა** ამ სკოლის კურსდამთავრებულია, 32 წელია მშობლიურ სკოლაში ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას. ლუკას დედა - **თამარ ესაკია**, პროფესიით ექიმია, რომელსაც ეს სკოლა აქვს დამთავრებული, ხოლო ლუკას მამა, **გიორგი გერსამია** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორია, დამთავრებული აქვს ვლადიმერ კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლა.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისში უამრავი საჯარო თუ კერძო სკოლაა, მშობლებმა აირჩიეს შვილების მშობლიურ სკოლაში შეყვანა, ლუკას 6 წლის ძმაც, **მათე**, სექტემბერში ამავე სკოლის I კლასსი შევა, რადგან 139-ე სკოლაში საუკეთესო პედაგოგები მოღვაწეობენ.

კიდევ რა ვთქვათ? რა და, „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი ჯობდეს მამასა“. დიახ, ის ურჩევნია დარეჯანს, რომ ლუკა ჯობდეს ბებოსა.

ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან? – ვინ და, **ლუკა გერსამია.**

ბორის მიშველაძე,
საქ.დამს. ჟურნალისტი

ადამიანები – თავის ადგილზე

ასეა: საცა უნდა იყო, რა საქმესაც ადგე, როცა იქნება (მომწიფდება) მოგკიდებს უხილავ ხელს შენი ანგელოზი და სწორედ იქ მიგიყვანს, იმ საქმეზე დაგაყენებს, რისთვისაც მოგავლინა ამქვეყნად მამაზეციერმა. ზოგი იშნოვებს ამ მადლს, ზოგი – ვერა და მთელი ცხოვრება ღობე-ყორეს ედება.

თბილისის 103-ე საჯარო სკოლის დირექტორს ბატონ **არჩილ ჩხაიძეს** ახალგაზრდობაშივე მოჰკიდა უხილავი ხელი მისმა ანგელოზმა და განათლების სისტემაში განამწესა. არჩევანი რომ სწორი იყო, ამას ბატონი არჩილის მრავალი რეგალია, ჯილდო, აღიარება ადასტურებს, მაგრამ უმთავრესი მისი აღსაზრდელ-აღზრდილების სიბეჯითე და წარმატებებია. ასე იყო ყველგან, სადაც კი უმუშავია მას და ამ სისტემის მიღმა თავი ვეღარ წარმოუდგენია.

თუ სათავე წმინდაა, წყაროც ანკარა მოედინება. ამიტომ 103-ე სკოლის მთელ პედკოლექტივს გასიგრძეგანებული აქვს დიდი მისია – სამშობლოსათვის მცოდნე, ზნეკეთილი თაობების აღზრდა და სათანადოდ ირჯება კიდეც.

საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციის AKS Education Awards მიწვევით, სკოლის პედაგოგ **რუსუდან ნუცუბიძესთან** ერთად, მიიწვიეს დუბაიში გამართულ სამიტზე Global Education Awards Dubai, რომლის მუშაობაში მსოფლიოს 11 ქვეყნის 100-ზე მეტი დელეგატი მონაწილეობდა. სტუმრის სტატუსით, სამიტს ესწრებოდა გაერთიანებულ საამიროებში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი ბატონი **ბეჟან შონია**. სამიტის დასკვნითი ნაწილი დაეთმო დაჯილდოვებას. **საქართველოს თერთმეტი წარმადგენელი დაჯილდოვდა სხვადასხვა ნომინაციაში და შესაბამისი სერთიფიკატები გადაეცა. ქალაქ თბილისის 103-ე საჯარო სკოლას ნომინაციაში, როგორც გამორჩეულ სკოლას სასწავლო წარმატებაში, ხოლო ბატონ არჩილს – წლის საუკეთესო სკოლის დირექტორის ჯილდო და შესაბამისი სერთიფიკატი; სკოლის ქიმიის პედაგოგი რუსუდან ნუცუბიძე დაჯილდოვდა, როგორც გამორჩეული მასწავლებლის ტრენერი.** AKS Education Awards-ის ინიციატივით, 15-17 მარტს დაიგეგმა სამიტი საქართველოში, ხოლო გამოცდილების გაზიარების მიზნით, სტუმრებს მასპინძლობას 103-ე სკოლა გაუწევდა.

ეს გამორჩეული აღიარება პედაგოგების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების დამსახურებაა. მადლობა მათ, თავდადებული შრომისათვის!

მადლობა AKS Education Award-ის წარმომადგენელს საქართველოში, Theachers Community Georgia-ს დირექტორს – ქალბატონ **ინგა ხარჩილავას.**

საქართველომ პირველად უმასპინძლა საერთაშორისო ორგანიზაცია **ALERTKNOWLEDGESERVICES**-ის მიერ ორგანიზებულ გლობალური განათლების სამიტს, რომელიც ქალაქ თბილისში, შერატონ მეტეხი პალასში გაიმართა და მას 6 ქვეყნის ოთხმოცდაათამდე დელეგატი ესწრებოდა. სამიტის საპატიო დელეგატები გახლდნენ სკოლის დირექტორი, ბატონი **არჩილ ჩხაიძე**, ქიმიის მასწავლებელი **რუსუდან ნუცუბიძე** და XI კლასის მოსწავლე, მოსწავლეთა თვითმართველობის თავმჯდომარე **ნინიყარყარაშვილი.** სამიტზე მასწავლებლებმა, ინოვატორებმა და აზროვნების ლიდერებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან განიხილეს გლობალური საგანმანათლებლო სივრცისთვის უმნიშვნელოვანესი თემები: „ჰიბრიდული სწავლის მომავალი: ინოვაცია, გამოწვევები და შესაძლებლობები“ და „საკლასო ოთახის ხელახლა წარმოდგენა: ტრადიციული და ციფრული სწავლების შერწყმა“. ამდენად, სამიტი მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯი გახდა განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ჩამოყალიბებისა და გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს წარმატებას და ხელს უწყობს განათლების მომავალს მსოფლიოს მასშტაბით. განსაკუთრებით აღსანიშნავია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ **ჯემალ გამახარიას** მიმართვა სამიტის დელეგატებისადმი. მან გამოკვეთა ოკუპირებულ აფხაზეთში განათლების მიმართულებით ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობის აუცილებლობა.

მადლობა ნაყოფიერი დღისთვის AKS-დამფუძნებლებს **დინეშ კამრას, სარვეშ ჯაგდირაჯს, მაჰეშ კამრას,** ასევე, **TEACHERS COMMUNITY GEORGIA**-ს, **ინგა ხარჩილავას, კახაბერ ჩანკვეტაძეს, ნინო ცარციძეს** და **მარიამ მამაგულაშვილს.**

103-ე საჯარო სკოლას სტუმრობდნენ საქართველოში გამართული განათლების საერთაშორისო სამიტის მონაწილე ქვეყნების საგანმანათლებლო ლიდერები; ასევე, ისანი-სამგორის რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქალბატონი **მეგი როსტიაშვილი**, განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ქალბატონი **კარინე მანუკიანი**, ისნის რაიონის გამგეობის განათლების, კულტურისა და სპორტის კოორდინატორი ქალბატონი **ელენე დადიანი**, სომხურ გაზეთ „ვრასტამის“ რედაქტორი, პარლამენტის ყოფილი წევრი **ვან ბაიჰბურთი**.

სკოლა სტუმრებს ტრადიციული მრავალჟამიერით დახვდა. დირექტორმა დელეგატებს გააცნო სასკოლო მიღწევები, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით. სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო ლი-

გაგრძელება მე-4 გვ.

103-ე სკოლა

მესამე გვერდიდან

დერებმა კი მნიშვნელოვანი და საინტერესო უკუკავშირით შეაფასეს სასკოლო მიდგომები. სტუმრებმა დაათვალიერეს სკოლის ინფრასტრუქტურა: ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახები, ბავშვებისა და მათი ხელოვნების მასწავლებლის **ლია ცანავას** მიერ კედლებზე შექმნილი პანოები. დაესწრნენ ახლად გახსნილი კარატეს კლუბის ვარჯიშს, მოინახულეს სპორტული დარბაზი. სტუმრებს ექსკურსიამძღოლობა გაუწიეს მოსწავლეებმა ქართულ და ინგლისურ ენებზე. ღონისძიების კულტურულ ნაწილი კი სკოლის ქართული და სომხური ცეკვის ანსამბლებმა და ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „კოკროჭინამ“ დაამშვენა.

რამდენი სკოლა დაიკვეხნის ასეთ პატივსა და აღიარებას საერთაშორისო ასპარეზზე? სკოლა რთული ორგანიზმია და მისი გამართული მუშაობა ყოველი წახნაგის შეთანხმებული მიზანმიმართული, თანხმიერი მუშაობის შედეგია. სწორედ ასე იღვწის ყოველდღიურად 103-ე სკოლის ყოველი პედაგოგი.

საბჭოთა ხანს თავში გვიჭედავდნენ, წინსვლის განმსაზღვრელი ხალხი მასაა. ყოვლად მიჩქმალული იყო პიროვნების როლი ისტორიაში. თუმცა თავად ისტორია ადასტურებს, რომ სწორედ დიდი პიროვნებები წარმართავდნენ უდიდეს მოვლენებს.

ყოველ საქმეს სჭირდება სათანადო ხელმძღვანელი. მით უფრო, მომავალი თაობების აღზრდის – სათუთ და ერთობ საპასუხისმგებლოს და 103-ე სკოლასაც, ხომ დავრწმუნდით, რომ სწორედ შესატყვისი ხელმძღვანელი ჰყავს.

P. S. მაინცდამაინც ერის ჭეშმარიტ ზეპურ მამებს ნუ შევედრებით. ყოველ ჩვენგანს ძალუძს თავის ადგილზე იმუშაკოს ერისა და სამშობლოსათვის და თითო აგური დადოს ქვეყნის აღმშენებლობის ბალავერზე.

103-ე სკოლის პედაგოგები, დირექციის ხელმძღვანელობით, სწორედ ასე აგურ-აგურ აგებენ იმ ხელთუქმნელ საშვილიშვილო ნაგებობას, სადაც მათი აღსაზრდელების მომავალი იჭედება და სამშობლოს მსახურებად მზადდება.

მარიამ ხატიაშვილი – გურგენიძე

რეპორტაჟი ქვალონის საჯარო სკოლიდან

სასწავლო წლის პირველი დღე სიურპრიზებით და სიახლეებით სავსე აღმოჩნდა!



კიდევ ერთი საჩუქარი მივიღეთ ჩვენი სკოლის ყოფილ მოსწავლისგან! ქალბატონმა **ლუიზა მშვილდაძე-ბეჭვაიამ** 1967 წელს დაამთავრა ჩვენი სკოლა, ამჟამად იმყოფება იტალიაში, ბატონ შალვა კამლაძის პროექტით, მისი ლექსი დაწერილი ტილოზე ულამაზესი კალიგრაფიით ნამდვილად ღირსეული საჩუქარია.

დღევანდელი დღის გალამაზებისთვის მადლობას ვუხდით ჩვენს საპატიო სტუმრებს – **ია ბეჭვაიას**, პოეტებს: ქუთაისიდან **ქეთი ცირეკიძეს, დარეჯან გელაძეს, ნათელა ფოჩხუას, ნათელა ჩანქსელიანს, მაგული მაჭარაშვილს** და თბილისიდან პოეტს, **დეზი ემანულიძეს**, ეს პროექტი ემსახურება ქართული დამწერლობის პოპულარიზაციას, რაც ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანია დღეს. პოეტებმა **დეზი ემანულიძემ, ნათელა ფოჩხუამ** წაიკითხეს საკუთარი და ქალბატონ ლუიზას ლექსები.

ქალბატონ ლუიზას ლექსი დაამშვენებს ჩვენი სკოლის კუთხეს .

მადლობა ყველას ლამაზი დღისთვის.

ახალ სასწავლო წელს გილოცავთ.

სკოლის დირექტორი:

ჟანა ჯაიანი

„ჩვენ ყველა ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“

ეგზიუპერის ეს სიტყვები ყველასთვის ძვირფასია, ბავშვობის პერიოდი ყველაზე გამორჩეულია თავისი უბრალოებით, უდარდელობითა და სიალალით. ალბათ, ლუიზა ბეჭვაიას ინტერესიც ეს იყო, რომ ხობის – ზემო ქვალონის სკოლაში გახსნა დაფა, **შალვა კამლაძის** პროექტით **„ლექსი კალიგრაფში“**, თარიღად კი, 2024 წლის 16 სექტემბერი აირჩია, სასწავლო წლის დაწყების პირველი დღე.

სკოლის დირექტორი **ჟანა ჯაიანი**, პედაგოგებთან ერთად მომღიმარი შემოგვეგება ქალბატონ ლუიზას მეგობრებს, პოეტებს: **დეზი ემანულიძეს, დარეჯან გელაძეს, ქეთი ცირეკიძეს, ნათელა ჩანქსელიანს, მაგული მაჭარაშვილს, ნათელა ფოჩხუას** და ბატონ **შალვა კამლაძეს**, რომლებიც ქალბატონ ლუიზას მიერ დაფუძნებული შემოქმედებითი სახლის **„ლუის პარნასის“** წევრები არიან. მან გახსნა ღონისძიება, გაგვაცნო სკოლის ისტორია და ისაუბრა ქალბატონ ლუიზას პედაგოგების შესახებ, რომლებმაც აღზარდეს იგი. ყველა გამომსვლელმა ღირსეულად შეაფასა ქალბატონი ლუიზა, რომ იგი იმსახურებდა მშობლიურ სკოლაში თავის ლექსის განთავსებას. ლუიზას პოეზია გამოირჩევა ღვთიურობით, მიმართულია, უფლისადმი, ლოცვით. მისი ორი წიგნიც **„ლოცვად აღვლენილი ვედრება“** და **„შემოქმედო ყოველთაო“** უფლის რწმენის დიდებულებაა.

მისი კიდევ ერთი ლექსი ამშვებებს ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩას, ქვალონში გამოფენილი ლექსი კი, გახლავთ:

„გულმართალი და სულით მართალი,
მოეწონება უფალს,
დაჩაგრულს გავამხნევებთ და
მოეწონება უფალს,
მწყურვალს წყურვილი მოვუკლათ, მოეწონება უფალს,
მოხუცს, რომ შევეშველებით,
მოეწონება უფალს,
ერთურთს შევუნდოთ, მოყვასნო, მოეწონება უფალს,
კარგი ვიქნებით, კეთილნი,
მოეწონება უფალს,
მოდით, მუდამდღე ვილოცოთ,
მოეწონება უფალს,
მაშ, გაუმარჯოს სიკეთეს,
მისი კეთების უნარს!“

სკოლაში ლექსის განთავსებით სასიკეთო საქმე გაკეთდა, რადგან მოზარდები ყოველდღე შეხედავენ ბრძნული, ღვთიური აზრებით სავსე სტრიქონებს, რაც ხელს შეუწყობს მათ კეთილშობილურ აღზრდას. ქალბატონი ლუიზა ემიგრაციიდან ესათუთება ყველას სიყვარულით. მისმა ქალიშვილმა **ია ბეჭვაიამ** დედის სურვილითა და კეთილგანწყობით ყველა პირობა შეგვიქმნა ქალბატონი ლუიზას მეგობრებს, რათა ღირსეულად წარვმდგარიყავით მისდამი პატივსაცემად.

პოეტი, ნათელა ფოჩხუა

მოკვდავთ დაბადება ღვთისა მადლია

ღირს დიადემა სიცოცხლის გვირგვინად კი, ამ მოკვდათაგან კვალდამჩნეული ნაბიჯები.

ქართველი ემიგრანტი ქალბატონი **ლუიზა ბეჭვაია**, სწორედ რომ გვირგვინოსანი ღირსებაა დიად კვალდამჩნეული ნაბიჯებით. მისი დიადემა მბრწყინავი შუქურაა ყველას საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

ამ დიადი გვირგვინოსნობის სიმბოლოდ. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქვალონის საჯარო სკოლაში, (მის მშობლიურ სკოლაში) გაიხსნა ქალბატონ **ლუიზა ბეჭვაიასადმი** პატივსაცემი **„ერთი ლექსის კალიგრაფი“**-ს კედელი, სადაც განთავსდა მისი ლექსი. პროექტის ავტორი გახლავთ ღირსეული ხელოვანი, **შალვა კამლაძე**. ქალბატონი **ლუიზა ბეჭვაია** ნამდვილად იმსახურებს სახელდიდებას და მოფერებას თავისი სიყვარულით, და ყველასთვის უანგარო ქველმოქმედებით.

ეს ჯილდო საჩუქარია, სკოლის ღირსებად და სიამაყედ.

ეს პატივსაცემი დაფა, გზა და ხიდია მომავალი თაობის სიკეთის დამოძღვრებისკენ, სანთელია ჭეშმარიტი გზის მანიშნებლად და მეგზურად მომავალი თაობის აღზრდისათვის.

მადლობა ქალბატონ ლუიზას, მიწვევის პატივისთვის.

დიადი მადლიერება სკოლის დირექტორს **ჟანა ჯაიანს**, პედაგოგებს და სკოლის აღსაზრდელებს. ასევე, საკრებულოს წარმომადგენლობას ჩვენი დახვედრისა და მასპინძლობისთვის.

პოეტი, დეზი ემანულიძე

საქმიანი 49-ე სკოლისა

ერთგულების ეტალონი

ეგზოტიკურ შენობაში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ჩქეფს. ამას ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ. კოლეგიალურობა, ურთიერთპატივისცემა აქ ცხოვრების წესად დამკვიდრებულა.

სკოლის დირექტორი **ეკატერინე ცაავა**, რა თქმა უნდა, გამობრძმედილი პროფესიონალი, ჩვენი გაზეთის უღალატო მეგობარია. ასეთია მისი მოადგილე **ეკა ჯიქია** და მთელი კოლექტივი. 30 წელზე მეტია ერთგულად თანამშრომლობენ ჩვენთან, მხარში გვიდგანან. ამისთვის უღრმესი მადლობა ჩვენ.

ჩვენი გაზეთი 95 წლისაა, ძალიან გვიჭირს, ამიტომ გლახა მათხოვარივით, თავი მოვაბეზრე. თუმცა, იმდენი შეგნება კი მყოფნის, რომ წელიწადში მხოლოდ ერთხელ მივმართავ დახმარებისათვის. სკოლიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად I სემესტრის შედეგებზე და II სემესტრის ამოცანებზე მოკლედ ვიმსჯელებთ.

***

წარმატებები სახეზეა, უფრო მეტიც გვექნება

ულამაზესი შენობა-ნაგებობა, რომელიც ვერაზე, ვ. ბარნოვის 10 ნომერში მდებარეობს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და გამოირჩევა თავისი არქიტექტურული იერსახით. სკოლის ინფრასტრუქტურა გამართული და მოწესრიგებულია, ინტერიერი და ექსტერიერი მორგებულია სასკოლო გარემოს, სისუფთავე და თბილი გარემო. ამ სკოლის ნიშაა, აქ მეგობრული ატმოსფერო სუფევს, სადაც მოსწავლე ახალგაზრდების განათლებაზე ზრუნავს სკოლის მთელი პედკოლექტივი, მისი ხელმძღვანელის, აქტიური და მიზანდასახული სკოლის დირექტორის **ეკატერინე ცაავას** სახით, რომელსაც ენდობა კოლექტივი. ის წლებია სკოლას უძღვება, სკოლის დირექტორის მოადგილის **ია ჯიქიას** მხარდაჭერით და ასევე მენტორი, წამყვანი და უფროსი პედაგოგების ყოველდღიური შრომის შედეგია სკოლის წარმატებები. მოსწავლეთა მშობლების ჩართულობის და სკოლის თვითმმართველობის ინიციატივით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება, ესწრებიან ლექცია-სემინარებს.

სკოლაში მზრუნველობას არ აკლებენ მოსწავლეებს სკოლის ექიმი **ნათია სიგუა** და მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები.

სკოლას ყავს 1 მენტორი, 7 წამყვანი და 18 უფროსი პედაგოგი.

გილოცავთ აღდგომის დღესასწაულს!

ბევრი წარმატება და სიკეთე დაგებედოთ!

ბორის კინდღელი

ზურაბ მამულაშვილი

დაბადების დღეს გილოცავთ, ბატონო ზურაბ!

ზურაბ მამულაშვილი

პირველად ახმეტაში

გზაზე თვალწინ ჩამიქროლეს
ასკილმა და მაყვლებმა,
მერე მზემაც გულიანად
ამხედა და დამხედა,
თითქოს ყველა სტუმრისაგან
კაი სტუმარს არჩევდა,
პირველად რომ მივადექი
ამწვანებულ ახმეტას.

ფული, ფული, რომ დამიდგან
კასრებად და დახლებად,
ერთ ლარსაც კი არ ავიღებ
ჩემი ყოფნის სარჩენად.
თუნდაც დამნაშავე ვიყო,
მომისაჯონ დახვრეტა,
სხვა მხარეში მე არ გავცვლი
ჩემს მშობლიურ ახმეტას.

როცა ამ ხალხს გავეცანი,
გული ისე გამხნევდა,
ჩემი ლექსის ფაქიზ პწკარებს
ქარი ნდობით არხევდა,
მტერმაც ვერაფერი უყო
თუმც ეცადა არჩევანს,
მკლავიც ვერ გადაუგრიხა
ამ ქალაქის მარჩენალს.

გამარჯვებას ეზიარნენ,
ბოროტება აღკვეთა,
ამის შემდეგ ახმეტელებს
სიყვარული დასჩემდათ.
დღეს კი, დღეს კი, როცა სული
იწვის წმინდა სანთლებად,
კარგი სტუმრის მისაღებად
სულ მზად არის ახმეტა.

მარანი

აი, ეს არის მარანი,
სადაც არ არის ვარამი,
აქ უნდა ენთოს, ან ჭრაქი,
ან პაპის ძველი ფარანი.

მარანს უხდება ქვევრები,
ხილი, ჭაჭა და წალამი,
დოქი, ყანწი და ფიალა,
მზე-მთვარით ამომავალი.

აქ ბახუსია ლამაზი,
აქ არა თვრება არავინ,
სამშობლოს, ქალის ფერება
აი, ესაა მთავარი.

სულ გამარჯვებით გაგვევლოს,
გზა, დარჩენილი სავალი,
ქება-დიდება მის პატრონს,
მის ამშენებელს სალამი.

აქ რომ მოხვდები იწამებ
ღმერთს და ჩვენს ლამაზ სიცოცხლეს,
ეს გაუმარჯოს თამადას,
მშვიდობისთვის რომ ილოცებს.

აი, ეს არის მარანი,
სადაც არ არის ვარამი,
აქ უნდა ენთოს ან ჭრაქი,
ან, პაპის ძველი ფარანი.

პოეტი-აკადემიკოსი,
ზურაბ მამულაშვილი

სითბოსა და სიყვარულის კერა

თბილისის 91-ე საბავშვო ბაგა-ბაღი **„ონავრები“** ერთ-ერთი გამორჩეული ბაღია დიდუბის რაიონში, რომელიც მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. პროფესიონალთა გუნდს სათავეში უდგას გამოცდილი, თავისი საქმის მცოდნე, სანიმუშო ქალბატონი **ნანი ჯანელიძე**. ქალბატონი ნანი წლებია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს ხელმძღვანელობს და ზუსტად იცის, როგორ წარმართოს სამუშაო პროცესი, რომ პატარებს ბაღისაკენ მიუხაროდეთ, მშობლები კი გულდამშვიდებული ტოვებდნენ შვილებს საიმედო ხელში.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების ძირითადი პრინციპების დანერგვაში, დირექტორთან ერთად, საკუთარი წვლილი შეაქვთ დირექტორის მოადგილე **მეგი ბარბაქაძეს**, მეთოდისტ **მაია მდივანს**, საქმისმწარმოებლებს – **თია ტეიძესა** და **ნანა ბერძენიშვილს**, ბუღალტერ **ფიქრია რიგიშვილს**.

ბაგა-ბაღში **6** სააღმზრდელო ჯგუფია. მაღალია აღმზრდელთა პროფესიული განვითარების დონე. ახალი მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა აღმზრდელმა ისე დანერგოს რა როგორ ასწავლოს, რომ გათვალისწინებული იქნას ბავშვის შესაძლებლობები და ინტერესები. პატარებს შემოქმედებითი თვითგამოხატვის საშუალებას აძლევენ, შემეცნებითი და მოტორული უნარების გასავითარებლად ნაირნაირ რესურსს სთავაზობენ და მათი ინტერესებიდან გამომდინარე, აღმზრდელები და აღმზრდელის

თანაშემწეები, სწორად წარმართავენ აქტივობებს ჯგუფებში:

2-3 წლიანთა ჯგუფი **„ჭიამაიები“** – აღმზრდელი **რიმა ჩხეტიანი**, აღმზრდელის თანაშემწე **დინარა ვეფხვაძე**;

3-4 წლიანთა ჯგუფი **„ვარსკვლავები“** – აღმზრდელი **ნანა არაბიძე**, აღმზრდელის თანაშემწე **მზია მელიქიძე**;

4-5 წლიანთა ჯგუფები: **„ბელურები“** – აღმზრდელები: **ქრისტი როხვაძე** და **თეა ფუთურიძე**, აღმზრდელის თანაშემწე **კარინა ეგიანი**; **„ლიფსიტები“** – აღმზრდელები: **რუსუდან გუჩიანი** და **ლიანა მოდებაძე**, აღმზრდელის თანაშემწე **დალი კაპანაძე**;

5-6 წლიანთა ჯგუფები **„ფუტკრები“** – აღმზრდელი **მარინა ციცქიშვილი**, აღმზრდელის თანაშემწე **ნანა კვირკველია**; **„ცეროდენები“** – აღმზრდელი **ლალი წურწუმია**, აღმზრდელის თანაშემწე **მაია ნათენაძე;**

ყველაზე მთავარი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესია. მეტყველებისა და დამოუკიდებელი აზროვნების, ჯანსაღი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, აღსაზრდელების სკოლისათვის მზადებას, ერთად წარმართავს მულტიდისციპლინარულიგუნდი,ლოგოპედის, ფსიქოლოგის და სპეც. პედაგოგის შემადგენლობით.

ბაგა-ბაღი აქტიურად არის ჩართული სააგენტოსა და მერიის მიერ ორგანიზებულ პროექტებსა და ღონისძიებებში. ქალბატონი ნანი პროფესიით ვოკალისტია, სწორედ ამიტომ, პატარების მუსიკალურ განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა და ჩატარებული თემატური აქტივობები მუსიკალურად საუცხოოდ არის გაფორმებული.

სკოლამდელი აღზრდის ამ დაწესებულებაში, სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ სამზარეულოში, პატარებისთვის უგემრიელესი კერძები მზადდება, სისუფთავე და მოწესრიგებულობა თვალშისაცემია. უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ტექნიკურ პერსონალს.

სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა თითქმის დასასრულს მიუახლოვდა. სასკოლო მზაობის ჯგუფებში აღსაზრდელთა მზაობა დადგენილ მოთხოვნებს შეესაბამება. დასკვნითი ღონისძიებებისთვის კი ჯგუფები მთელი გულით ემზადებიან, რომლებსაც ჩვენ სამომავლოდ გავაშუქებთ.

ნათია გუგუნავა

167-ე ბაგა-ბაღი

პატარები გრძნობენ საკუთარ შესაძლებლობებს

თბილისის 167-ე ბაგა-ბაღი სანიმუშო საბავშვო დაწესებულებაა. აქ აღსაზრდელებისთვის ყველანაირი კომფორტია შექმნილი და მათ კეთილდღეობაზე კომპეტენტური სპეციალისტები ზრუნავენ. თბილისის ბაგა-ბაღების საგენტოს ხელშეწყობით, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა და ბაღი აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით. პატარებისთვის აქ ლამაზი და ფერადი სამყაროა შექმნილი.

ბაგა-ბაღს ხელმძღვანელობს შესანიშნავი მენეჯერი **თვალმაისა გოგოხია**, რომლის დიდი ძალისხმევითა და თავდაუზოგავი შრომით, პატარების აღზრდა-განათლებისთვის შესანიშნავი გარემოა შექმნილი. დირექტორს მხარში უდგას პროფესიონალ აღმზრდელ-პედაგოგთა და თანამშრომელთა გუნდი. დაცულია უსაფრთხოების წესები და დიდი ყურადღება ექცევა სანიტარულ-ჰიგიენურ წესებს.

თვალმაისა გოგოხია: ჩვენ ვქმნით გარემოს, სადაც ბავშვებს თავისუფლება აქვთ, სადაც ნებისმიერი იდეა შეიძლება გახდეს რეალობა, სადაც ბავშვები გრძნობენ საკუთარ შესაძლებლობებს. სწორედ, ასეთ გარემოში ხდება ის **„ჯადოსნური გარდატეხა“**, როდესაც პატარა ადამიანი ხედავს თავის წინაშე უსაზღვრო შესაძლებლობებს. ჩვენი ბაგა-ბაღი ხელმძღვანელობს ადრეული განათლების კურიკულუმით, სადაც სწავლება თამაშით და კვლევა-აღმოჩენებით იწყება, სადაც ყველა ბავშვი ინკლუზიურია, შესაბამისად, განათლებაც არის ინკლუზიური. ასევე, წარმატებით ხორციელდება „**სასკოლო მზაობის**“ პროგრამა **„თამაში“,** რომლის მიზანია დაეხმაროს სასკოლო პროგრამაში ჩართულ აღმზრდელებს, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმართვაში, რათა შეძლონ ბავშვების ჰოლისტური განვითარება. ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელშეწყობით და თანადგომით, მოხერხდა საბავშვო დაწესებულების შიდა სააღმზრდელო გარემოს შეცვლა ახალი და თანამედროვე ინფრაქსტრუქტურით, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით სააგენტოს ხელმძღვანელს.

167-ე ბაგა-ბაღის უმთავრესი ღირებულებებია: ბავშვთა უსაფრთხოება, გუნდური მუშაობა, სიახლეებზე ორიენტირება, უწყვეტი განვითარება, მშობლის და თემის ჩართულობა. აქ დიდი ყურადღება ექცევა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. დღესასწაულებთან დაკავშირებით კი, ტარდება სხვადასხვა სახის სეზონური აქტივობები. საბავშვო ბაღი აღჭურვილია სათამაშოებით, თანამედროვე მეთოდური ლიტერატურით და საუკეთესო ილუსტრირებული გამოცემებით. დიდი ყურადღება ექცევა კვებას, ჰიგიენური წესების დაცვას, პატარების უსაფრთხოებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და ამიტომაც, მშობლებიც კმაყოფილები არიან.

ანანო სამელია

შემოქმედი დირექტორი

ლელა ბაქრაძის ლექსები

გაზაფხული

ჩიტუნია შემოფრინდა – გაზაფხული მახარა,
ჩვენი ბაღი ამ გაზაფხულს – რა ლამაზი გამხდარა!...
რა საოცრად აბიბინდა ქორფა მოლი ხასხასა!
გაზაფხული შემოსულა – კოხტა, ნაზი, ხარხარა!
პრანჭიკელა გაზაფხული, თვალპაჭუნა, წანწკალა!
ყელი მოუღერებია – თავმომწონედ დამჯდარა.
გაზაფხული ამ გაზაფხულს – დედოფალი გამხდარა!
გადაჰყურებს არე-მარეს მედიდურად, ამაყად,
თავის სუნი გაზაფხულმა ჰაეროვნად გაფანტა!
გაზაფხულის შემოსვლისას მთაში თოვლი დამდნარა!
სიყვარულით იმზირება, როგორ ტკბილად დამთბარა!
რა კეკლუცად კისკისებენ ყვავილები მთა-ბარად!
ლურჯი ია თავს აწონებს ცელქ ნაკადულს წანწკარას!
კვლავ პეპლები დაფრინავენ, ჰაეროვნად, ნარ-ნარად!
გაზაფხულის სილამაზე – ყველა საზღვრებს გამცდარა!
გადახედე არა-მარეს, გამოაღე ფანჯარა
– ეს სამყარო და ეს ხალხი – რა ლამაზი გამხდარა!
სიყვარული უნდა ყველას – დიდია, თუ პატარა!
“შეიყვარე, აღფრთოვანდი!“ – გაზაფხულმა მასწავლა!...
მთაში წყარო მოჩუხჩუხებს, მჩქეფარე და ანკარა,
გზას მინათებს გაზაფხულის მზის სხივები კაშკაშა!
ამ სიცოცხლის სიყვარულიც – გაზაფხულმა მასწავლა!
სულში დიდი სითბო მიდევს, დარდები კი გამქრალა!...
გული მითრთის, გული მიხტის, მიჩქარდება ხანდახან!
– რა ჰანგები, რა სურნელი, რა ფერები ხასხასა!...
ჩიტუნები ჭიკჭიკებენ რა ტკბილად და ნარ-ნარად!
ოხ, რა ძლიერ მიხარია!... – გაზაფხული დამდგარა!!!

პეპელა

ყვავილები ამოსულან ამ მინდორზე წყებ-წყებად.
ლამაზ მინდორს სიყვარულით თავს ევლება – პეპელა,
დაფარფატებს ისე ნაზად, ჰაეროვნად, ნელ-ნელა
– გული მითრთის რომ ვუყურებ მოფარფატე პეპელას!
მისი მზერით – სინაზისგან მკერდში გული მელევა! –
ხან ერთ ყვავილს თავს აწონებს, ხან მეორეს ევლება!...
ყველა მოსწონს, ყველას ეტრფის – ეს პატარა პეპელა!
ყაყაჩოებს გაუღიმებს, თვალს ჩაუკრავს – ენძელას!
ჩაუქროლებს მინდვრის ყვავილთ, სტუმრად – ვარდებს ეწვევა!
თავმომწონედ გადაიფრენს, ნაკადულსაც შეხედავს,
ჩამოჯდება ბუჩქის ძირას – იებს გადაეხვევა!
გვირილებსაც გააცინებს და კისკისით ეცლება,
რომ შეხედავს – იასამანს სევდით ფერი ეცვლება...
– მივა, მასაც გაახარებს – სითბო არ დაელევა!...
ყველას ჰკოცნის, ეფერება, ეხუტება, ეხვევა!...
დაკეკლუცობს, დანარნარობს – პრანჭიკელა პეპელა...
ის – სიხარულს, ხალისს ჰმატებს – ვისაც სტუმრად ეწვევა!!!

მზია გოგოძე

ლელა ბაქრაძე თბილისის მე-17 ბაგა-ბაღის დირექტორია. იგი, შესანიშნავი პიროვნება და წარმატებული მენეჯერია. მისი მმართველობის პერიოდში, საბავშვო დაწესებულება ფაქტობრივად, განახლდა და აღორძინდა. ქალბატონი ლელა მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებაა. წერს ლექსებს და აქვს საკმაოდ საინტერესო და მრავალმხრივი ბიოგრაფია. ოთხ სხვადასხვა პროფესიას ფლობს და ოთხი წითელი დიპლომის მფლობელია, აქვს მაგისტრის ხარისხი (ამის შესახებ ჩვენს გაზეთში უკვე დაიწერა). იგი, ასევე მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, იყო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის — საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი; კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

შემოქმედმა ქალბატონმა ხელოვნებაშიც გამოავლინა ნიჭი. სარეჟისორო განათლების მიღების შემდეგ, რამდენიმე ნამუშევარიც შექმნა (დადგა სპექტაკლი, გადაიღო ფილმი). ასევე, გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით: **„ნადირობის ტრადიცია საქართველოში“**, სადაც მოგვითხრობს ფიტულების მუზეუმის დირექტორზე აწ გარდაცვლილ, **ნუგზარ ჯანაშიას** შესახებ. სამწუხაროდ, აღნიშნული მუზეუმი თბილისში უკვე აღარ არსებობს და მისასალმებელი ფაქტია, რომ ქალბატონმა ლელამ მისი ვიდეო კადრები შემოგვინახა. მე-17 ბაგა-ბაღს ნამდვილად ეტყობა ხელოვანი და მზრუნველი ხელმძღვანელის ხელი.

155-ე ბაგა-ბაღი

ცეროდენების საყვარელი ინფრასტრუქტურა

თბილისის ცენტრალურ უბანში, თაბუკაშვილის ქუჩაზე, ერთი შესანიშნავი, კეთილმოწყობილი საბავშვო დაწესებულებაა, რომელიც გამოირჩევა ესთეტიკური მშვენიერებით, სწავლა-აღზრდით და მდიდარი წარსულითაც. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, 155-ე საბავშვო ბაგა-ბაღის ბავშვებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, მოინახულონ ღირსშესანიშნავი დაწესებულებები: პიონერთა სასახლე, მუზეუმი, სამხატვრო გალერეა, ბიბლიოთეკა და ა.შ. ბაგა-ბაღის ორიგინალურ ეზოში ჯებირებით არის გამოყოფილი სივრცეები და დამშვენებულია საბავშვო ატრაქციონითა თუ ლამაზი მარადმწვანე მცენარეებით. შენობის შიდა ინტერიერის დიზაინიც შთამბეჭდავად არის გაფორმებული ნახატებითა და ზღაპრის გმირების ფიგურებით. თვალისმომჭრელი დიზაინის შერჩევაზე თავად დირექტორმა **მარინა შალამბერიძემ** იზრუნა და ახლა შედეგითაც კმაყოფილია.

მარინა შალამბერიძე: წელს სასწავლო პროცესი სექტემბერში განახლდა. 2019 წლიდან 2022 წლამდე, სარემონტო სამუშაოების გამო, ბაღი დროებით, სხვა შენობაში ფუნქციონირებდა. რეაბილიტაციის შემდეგ კი, მთლიანად შეიცვალა ბაგა-ბაღის ინფრასტრუქტურა, იერსახე და სააღმზრდელო გარემო. აღსანიშნავია, ბაღების მართვის სააგენტოს თანადგომა, რომელიც მუდმივად ზრუნავს სააღმზრდელო პროცესის შეუფერხებლად

და სრულყოფილად ფუნქციონირებაზე. კმაყოფილები ვართ ხელფასების გაზრდისა და ჩვენი შრომის დაფასებისათვის. ჩვენთან ზედმიწევნით დაცულია ჰიგიენის და უსაფრთხოების ნორმები. კარგად ვიცავთ ბავშვთა უფლებებსა და საერთაშორისო კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებს. კვება დაბალანსებული და შესანიშნავია, სადაც დაცულია კალორიების თანაფარდობა. ვხელმძღვანელობთ ადრეული განათლების კურიკულუმით, რომელიც ეფუძნება თამაშით ბავშვის გონებრივ და ინტელექტუალურ განვითარებას. აქ სულ შვიდი ჯგუფია. **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა კი, ორ ჯგუფში მიმდინარეობს.

მშვიდ და სასიამოვნო გარემოს პატარების მხიარული ჟივილ-ხივილი ამხიარულებს. კომპეტენტური აღმზრდელები და მათი თანაშემწეები კი, ბავშვებს მზრუნველობას და ყურადღებას არ აკლებენ. ბაგა-ბაღი

დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით და მუშაობენ გუნდური პრინციპით. დირექტორი მადლიერი და კმაყოფილია თანამშრომლების საქმიანობით.

საბავშვო ბაღში სისტემატურად მიმდინარეობს კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროექტები და ტრენინგები. აღმზრდელებმა და მათ შორის, დირექტორმაც გაიარა ტრენინგი თემაზე: **„ხელოვნების მეშვეობით ემოციური გაჯანსაღება და განათლება“** „HEART“ (ჰარტი). ასევე, აღმზრდელებმა წარმატებით ჩააბარეს 66 საათიანი **„აღმზრდელ-პედაგოგის ტრენინგ მოდულის“** გამოცდა.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესის სრულყოფილ წარმართვაში, აქტიურად არის ჩართული მეთოდისტი **ქეთინო ჭელიძე**, რომელიც მულტიდისციპლინარულ გუნდთან და დირექტორთან ერთად, გეგმავს და ხელმძღვანელობს თემთან შეხვედრებს, ღონისძიებებსა და სხვადასხვა პროექტებს. ასევე, უნდა აღინიშნოს დირექტორის მოადგილის **თამარ მაქარაშვილის** საქმიანობა, რომელიც ზრუნავს საბავშვო ბაღის ტექნიკურ-პროგრამულ გამართულ საქმიანობასა და ასევე, პროექტების თუ ღონისძიებების ფოტო-ვიდეო მასალის უზრუნველყოფაზე.

ბაგა-ბაღის აღსაზრდელები კარგად ფლობენ სასკოლო უნარ-ჩვევებს. შემოქმედებითი პროცესი თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მიმდინარეობს და პატარები დიდი მონდომებით არიან ჩართულნი ყველა აქტივობაში. ტარდება პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა ღონისძიებები: საშემოდგომო, საახალწლო, საგაზაფხულო და გამოსაშვები.

წარმატება, რა თქმა უნდა, პროფესიონალი აღმზრდელების თავდაუზოგავი შრომის შედეგია. ბაღი დაკომპლექტებულია ახალგაზრდა მაღალკვალიფიციური კადრებით და სანიმუშო აღმზრდელებით. თანამშრომლებს მეგობრული დამოკიდებულება აქვთ და ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს. დირექტორი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს მთელი კოლექტივის მიმართ და დადებითად აფასებს მათ თავდადებულ შრომას. ასევე, მადლობას უცხადებს ბაგა-ბაღების სააგენტოს მხარში დგომისთვის, აღსაზრდელებისთვის შექმნილი სრული კომფორტისთვის.

ასე რომ, 155-ე ბაგა-ბაღი, უკვე სრულიად რეაბილიტირებულია, თანამედროვეა და შეესაბამება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს.

მზია გოგოძე

შემოქმედი დირექტორი

„ენა ქართული დედაა ჩვენი“

დედაენის დღე გურამ ქარქაშაძის სახ. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ღვანკითის საჯარო სკოლის მესამე კლასის მოსწავლეებმა განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით აღნიშნეს, რომელთა თვალებშიც სიხარული და სიამაყე ბრწყინავდა. მოსწავლეებმა წაიკითხეს ლამაზი ლექსები, იმღერეს სამშობლოსადმი სიყვარულით გამთბარი სიტყვებით, მონაწილეობდნენ საინტერესო აქტივობებში. თითოეული ბავშვი გრძნობდა, რამდენად ფასეულია ქართული ენა მათი ცხოვრებისათვის. თითოეული მოსწავლის ლექსში იგრძნობოდა, რომ ჩვენმა წინაპრებმა დიდი შრომით, წვალებითა და ბრძოლით შეინარჩუნეს ქართული ენა.

„ჩვენ შევძლებთ კი, რაც ჯვრითა და ხმლით დაიცვა ჩვენმა წინაპარმა, მოუაროთ ამ სიცოცხლის ხეს, რომლის ძირი ღმერთიდან იღებს საზრდოს, არა მარტო მოუაროთ, არამედ ვიგემოვნოთ მისი ნაყოფი ღვთის მადლით ნასაზრდოები”

„დედაენას დედასავით მოფერება უნდა“

„ენა ქართული დედაა ჩვენი “

„ქართული ენა არის ქართველთა ღვთაებრივი საუნჯე“

გრიგოლ ორბელიანი:

„რა ენა წახდეს ერიც დაეცეს”

მოსწავლეებს არ გამორჩენიათ იოანე ზოსიმეს, პატრიარქის, გრიგოლ ორბელიანის, ილიას, ივანე ჯავახიშვილის და სხვათა გამონათქვამები ქართული დღისადმი.

ქართული ენა ხომ ჩვენი ერის ენაა, ამღერებული ჩონგურია, ჩაქარგული ჩუქურთმაა,გმირობის და ვაჟკაცობის დიდი ენაა, მებრძოლი ძალაა, აზრის მახვილი იარაღია ჩვენი სიცოცხლისა და არსებობის წყაროა,უმაღლესი სიბრძნე და სიკეთეა ამ ქვეყნად.

ღონისძიება დასრულდა ქართული კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული მარგალიტით, ეროვნული ქართული ცეკვით,

ღონისძიებას ესწრებოდნენ სასწავლო ნაწილის გამგე **ნანა**

ტყემალაძე, მუსიკის მასწავლებელი **მარინა ბოჭორიშვილი**, პირველი კლასის ხელმძღვანელი **დარეჯან სვანიძე**, მეოთხე კლასის ხელმძღვანელი **ეთერ ენუქიძე**, გაზეთ **„თერჯოლის“** კორესპონდენტი ქალბატონი **ჟუჟუნა ცხადაძე,** მოსწავლის მშობლები და მოსწავლეები: **ნიკოლოზ ბოჭორიშვილი, ბარბარე ბუსკივაძე, იანი ბუსკივაძე, გვანცა კაპანაძე, ლილე კუბლაშვილი, ცოტნე კუბლაშვილი, ნინი პერანიძე, გაბრიელ რობაქიძე, ნია რობაქიძე, კახაბერ სარდანაძე, მათე სარდანაძე, ბარბარე ქურცაძე, გიორგი ყურაშვილი.**

მოსწავლეებმა დედაენის დღეს მიუძღვნეს ნახატების გამოფენა. კალიგრაფიის კონკურსი, კითხვის კონკურსი და მხიარული სტარტები ამ დღისადმი მიძღვნილი კვირეული

დიდი მადლობა მესამე კლასის მოსწავლეებსა და დამრიგებელს ქალბატონ **ცირა მურჯიკნელს.**

ადგილობრივი ინფორმატორი

„ჰეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ ნეტავი!“



ნინო ფრუიძე

მეტირება!

მეტირება,
თუმცა არ ვარ ღვთისმშობელი,
ჩემი ცრემლით
სასწაული მოხდეს..
ეჰ, მამულო,
შენს შვილობას იშნობს ბევრი,
სდუმს წარსული,
სდუმს ვეფხი და მოყმე.

ჰე, გმირებო!
ამოკაწრეთ ისტორია,
კლდის გულს
ხედავთ?! გასჩენია ბზარი.
საქართველოს
მტერი როდის მისწვდომია,
ვერასოდეს ვერ იყარეს ჯავრი.

ჯვარმოგლეჯილ
გულზე მეწვის იარები,
გაყიდული ჩემი წილი მიწა,
ნირშეცვლილი სდუმან ადამიანები,
ძმის ღალატი გულს შანთებით მიწვავს.

ამოხეთქე,
გულო, ლექსი რას მიქვია,
წაუღია წყალსაც ჩემი რითმა..
დღემდე ყველა წარსული და ნაფიქრია,
რაც არ თქმულა ახლა უნდა ითქვას.

გზას მივდევ და უსასრულოდ მიილია,
ვერ ვიცანი ეზო, სახლი, მიწა.
რწმენისა და სიყვარულის შიმშილია,
არაფერი გვეშველება ვფიცავ!

მეტირება,
თუმცა არ ვარ ღვთისმშობელი,
ჩემი ცრემლით სასწაული მოხდეს!
ეჰ, მამულო,
შენს შვილობას იშნობს ბევრი,
სდუმს წარსული,
სდუმს ვეფხი და მოყმე!

სამშობლოს

ვიდრე ზეცას იალებდეს იარე,
კარგი უნდა გაარჩიო ავიდან,
ქართვლის მინდვრებს დროშა ააფრიალე
საქართველოს მოევლინე დავითად.

შეუყევი მთებს ნისლიანს დარი–დარ,
ნუ დატოვებ შვილებს მგლების ამარა,
შემოსძახე რიხიანად ბარიდან,
საქართველოს მოევლინე თამარად.

აღარც დროა, ბედი ისე გვიანობს,
ვერას გავნებს გიღალატოს მედროვემ
და ღირსების მცველო ადამიანო,
საქართველოს მოევლინე თევდორედ.

ტაძრებიდან აღარ ისმის გალობა,
ეჰ, მამულო, გულზე როგორ გივლიან,
კიდევ ერთხელ გაიმეტე წყალობა
საქართველოს მოევლინე ილიად.

აღარ დავწერ სიტყვას უსამანოდ და
არ მოვიყვან ენძელებსაც უმზეოდ,
მიწას ჩემსას, ზეცას დაუსაბამოს,
ვერ იხილავთ დაჩოქილს და უმწეოს.

მიყვარხარ

თვალებით გეძებ შევაღებ სარკმელს,
ქუჩა მიდის და საით მიჰყავხარ,
შენი სახიდან არეკლილ სარკეს,
თითებით ვაწერ მე შენ მიყვარხარ.

გავიზარდე და და ისევ ვბავშვობ,
მე მიამიტი შენ კიდე ბრძენი,
ბედს ისე მინდა წავეთამაშო,
რადგან დიდობა ვეღარ შევძელი

ყვითელ ფოთლებში სველი ქუჩები,
შეფარებია ჩვენს ნაფეხურებს,
პირისპირ ვდგევართ ასე ურჩები
და სიყვარული მიაქვთ ბელურებს.

სამეზობლოში

სამეზობლოში ღორი დაკლეს და
ქვრივის ოჯახში პურიც არ იყო,
გვერდით იკლებდა მწვადი ნაკვერჩხალს
და ოთხი ბავშვი გადმომდგარიყო.

იყო ხორხოცი ქალი და კაცის
და უტიფარი თვალის შევლება,
სინდისისაგან ბოლომდე დაცლილს,
აღარაფერი არ ეშველება.

ოჰ, არ ამოსდის დედას თვალიდან,
ალალად შვილებს არაფერს აკლებს,
იმ დღეს უფალიც სადღაც წავიდა,
სამეზობლოში ღორი რომ დაკლეს.

მადონა ქალდანი

თავდადებული დემეტრე

მზე დაბნელდა ურჯულოთა ცაზე,
მეფე ურდოს,რომ გააკრეს ჯვარზე.
არგნით ნაცემ მირონცხებულ წმინდანს.
ნაწილ-ნაწილ ჯალათობა შლიდა.

თევზების ქვეშ დაასვენეს მეფე,
წამებული და თან ბედნიერი.
გულმოწყალეს და გლახაკთა შემწეს,
თავდადებულს მიეგება ერი.

ფერი ედო სიამაყის ფრესკებს.
საქართველოს მადლმოსილი მეფის.

მზე ინათებს სამომავლოდ ცაზე,
მამას შვილი ბრწყინვალებით შეცვლის.

უმტკიცესო, ბრწყინვალეო გიორგი,
ქრისტეს წმინდა მოწამეო დემეტრე,
ღმერთის დასის მოწინავე მხედრებო,
უფალს ერის მთლიანობა ევედრეთ.

მზეო ამოდი

მზეო ამოდი, მზეო ინათე.
ნისლს გააცილე ქართველთ სინათლე
„მამული, ენა, სარწმუნოება“.
აქამდე რაც კი შემოინათლე.

ძარღვგაუმსკდარი ზამთრის ძახველი.
შავის და თეთრის შეყრის მნახველი.
მხოლოდ შენახარ,მზეო ამოდი!
შობის,აღდგომის შემომნახველი.

მზეო ამოდი, მზეო ინათე.
წინაპართ სისხლით, რაც კი ვინაცვლეთ.
თავისუფლება მონაპოვარი.
რომ არ გაგვიხდეს დღეს საგლოვარი.

მზეო ამოდი, მზეო ინათე.
ნისლს გააცილე ქართველთ სინათლე.

უშანგი ზანდარაშვილი

ავტომესადგომე — მანქანის მფლობელებს!

რასაც განვიცდი, აღვიქვან თვალით,
მალამოსავით სხეულში რჩება,
რაკი უხილავ განგების ძალით
კაცთმოყვარება თავისას შვრება.

ძნელი არ არის გამოსაცნობად,
ეს მაინც ძალმიძს, ამქვეყნად ცოდვილს,
თქვენი ჩემდამი კეთილგანწყობა,
რაღა თქმა უნდა, უფლისგან მოდის.

კარგი გრძნობაა გულითადობა,
ხელმოკლეობა მასთან არ „მოძოვს“,
გასამრჯელოსთვის დიდი მადლობა,
თანაგრძნობისთვის ღმერთმა დაგლოცოთ!

სიტყვა საქმიანი

მართლაც სახლია ყმაწვილებისთვის

ჩუღურეთის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, სადაც სკოლის ასაკის მოსწავლეები თავისუფალ დროს გონივრულად იყენებენ და დამატებით განათლებას იღებენ.

სახლი 1947 წელს პიონერთა სახლად დაარსდა, ხოლო 1991 წელს „ჩუღურეთის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“ ეწოდა. მას უკვე 36 წელზე მეტია ხელმძღვანელობს მრავამხრივი ნიჭითა და განსაკუთრებული თვისებებით დაჯილდოებული დირექტორი, ქალბატონი **ციცინო გოგოტიშვილი**.

წრეებსა და სტუდიებს ხელმძღვანელობს 21 მაღალკვალიფიციური პედაგოგი. საგანმანათლებლო წრეებია: ქართული ენა და ლიტერატურა (ხელმძღვანელები – **ლილი ცხოვრებაშვილი** და **ირმა მაისაშვილი**). მათი ინიციატივით გაიმართა მწერლების საიუბილეო საღამოები, მოეწყო **გურამ დოჩანაშვილისა** და **გოდერძი ჩოხელის** საიუბილეო სტენდები; ისტორიის წრეში (**ეკა უსტიაშვილი**) იმართება გასვლითი მეცადინეობები პროექტის „გაიცანი საქართველოს“ ფარგლებში; ასევე ტარდება პრეზენტაციები: „ნიკო ფიროსმანი – ისტორიული თემები და პერსონაჟები“. მუშაობენ პროექტებზე: „ვინ თქვა თუშია დალევა ნაპირ მოტეხვა ცისია“, „საქართველოს ეროვნული გმირი **ქაქუცა ჩოლოყაშვილი**“; უცხო ენების შემსწავლელ წრეებს ხელმძღვანელობენ: **ელისაბედ წამალაშვილი** (ფრანგული); **ხათუთა ჯავახიშვილი** (რუსული); **რუსუდან რაზმაძე** და **ნინო ასათიანი** (ინგლისური); **ნინო ასათიანი** (ესპანური). შემეცნებით-განმავითარებელ წრეებს ხელმძღვანელობენ: **ირმა ფერიაშვილი, ციცინო ვაზაგაშვილი** და **დიანა კახეთელიძე**. მათი ინიციატივით ტარდება ვიქტორინები სხვადასხვა საგანმანათლებლო თემაზე; მათემატიკის წრე (**ირმა ნატბელაძე**); ქიმია-ბიოლოგიის წრე (**ლელა ნოზაძე**); სახელოვნებო წრეებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ვოკალის წრე (**ერნა წიფურია, ნინო ჩიხლაძე** და **ნათია ასათიანი**); ხატვის წრე (პედაგოგები – **ნელი არაბული** და **ირინე არაბული**); ქარგვისა და გამოყენებითი ხელოვნების წრე (ხელმძღვანელი – **ლია ანიაშვილი**); თეატრალური წრე (პედაგოგები – **ხატია** და **ლევან ხაზიურები**).

უფრო მეტის თქმა შეგვიძლია ვოკალური წრის ხელმძღვანელ **ერნა წიფურიაზე**. მისი მოღვაწეობა უამრავი ჯილდოთი და პრიზით არის დახუნძლული. ვულოცავთ ვოკალის წრე „**გვირილას**“ 30 წლის იუბილეს. მის წინსვლაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით პლასტიკისა და ესთეტიკის მიმართულების ხელმძღვანელს **ნინო ჩიხლაძესა** და აკომპანიატორ **ნათია ასათიანს**.

ხატვის პედაგოგი **ნელი არაბული** 19 წელზე მეტია მუშაობს და წელს მას დაბადების 70 წლის იუბილე აქვს. ამიტომ 23 მაისს ფოლკლორისა და ხელოვნების საგამოფენო დარბაზში გაიმართება მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.

ხატვის წრის პედაგოგი **ირინე არაბული** უმცროსი ასაკის ყმაწვილებთან მუშაობს. ყველა დღესასწაულზე აწყობს მათი ნამუშევრების, ნაკეთობების გამოფენებს. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ნაძვის ხე სწორედ მათი ნამუშევრებით იყო მორთული.

ქარგვისა და გამოყენებითი ხელოვნების წრის პედაგოგი **ლია ანიაშვილი** ქართული რეწვის ტრადიციას 25 წელია ერთგულად ემსახურება (ქარგვა, თექა, ქსოვა).

თეატრალურ წრეს არსებობის დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი დაარსა **ნიკოლოზ საბაშვილმა**. მისი მუშაობის პერიოდში დადგმულმა სპექტაკლმა მიიღო თეატრალური პრემია **„დურუჯი“**. მის საქმეს დღეს აგრძელებენ **ხატია** და **ლევან ხაზიურები**. მათი სპექტაკლები ყოველწლიურად შეფასებულია საუკეთესოდ, ხოლო მოსწავლეები სიგელებით ჯილდოვდებიან.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ტრადიციული ღონისძიებები: ლაშქრობები და ექსკურსიები თბილისის ისტორიულ შემოგარენში, მხიარული სტარტები, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო კონცერტები და გამოფენები, ეკო-რეიდები თბილისის შემოგარენში.

ეკატერინე გურგენიძე

138-ე საჯარო სკოლელთა დიდი სიხარული

მთავრობას დიდი მადლობა

წერილი სკოლიდან

„მოსწავლე არ არის ჭურჭელი, რომელიც უნდა აავსო, ის ჩირაღდანია, რომელიც უნდა აანთო“ – პლუტარქეს ეს გამონათქვამი ერთგვარი დევიზია ჩვენი სკოლისთვის, რომელსაც წარმატებული სწავლების დიდი ტრადიცია აქვს.

სკოლა 1967 წელს აშენდა და მას შემდეგ მრავალი თაობა აღზარდა.

2023 წელს სკოლის შენობა სრულიად განახლდა და ის სრულადაა მორგებული თანამედროვე სტანდარტებს.

სკოლას აქვს მრავალფეროვანი ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი, სასადილო, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, სააქტო და სპორტული დარბაზები, კეთილმოწყობილი, სასიამოვნო დიზაინის საკლასო ოთახები.

სკოლას ჰყავს 47 წარმატებული, შრომისმოყვარე და პროფესიონალი კადრისაგან დაკომპლექტებული პედკოლექტივი. ჩვენი მოსწავლეები წარმატებით ასპარეზობენ საგანმანათლებლო-ინტელექტუალურ, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ ოლიმპიადებში.

გვყავს 12 წამყვანი და 35 უფროსი პედაგოგი. სკოლაში მოქმედი კათედრები მუდმივად გვანებივრებენ შესანიშნავი პროექტებითა თუ ღონისძიებებით.

მუდმივად მრავალფეროვანი აქტივობებით აღინიშნება შემოდგომის დადგომა, ახალი წელი, დედის დღე, დედაენის დღე, აუტიზმის ცნობადობის ამაღლების დღე, დედამიწის დღე თუ სხვა.

უკლებლივ ყველა მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა თუ საჭიროებებს და ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად ცდილობს ნებისმიერი მოსწავლე თანაბრად იყოს ჩართული ყველა პროცესში.

სკოლაში ამჟამად 800-ზე მეტი მოსწავლეა. ახალი სასწავლო წლიდან ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

სკოლის მთელი საზოგადოება, შესანიშნავი დირექტორის, **ნუნუ კაპანაძის** ხელმძღვანელობით ტრადიციების შენარჩუნების კვალდაკვალ მუდამ ვითარდება, ნერგავს სიახლეებს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი მოსწავლისათვის ქმნის სრულფასოვან სასწავლო გარემოს.

სტატიის ავტორი: **ნინო ახობაძე**

გილოცავთ აღდგომის დღესასწაულს, კოლეგებო!

ბევრი წარმატება და სიკეთე დაგბედებოდეთ. გაზეთ „სახალხო განათლება +“-ის რედაქცია იზიარებს თქვენ სიხარულს. მადლობას უხდის მთავრობას და განათლების სამინისტროს ასეთი დიდებული შენობის ჩაბარებისათვის.

ბორის მიშველაძე,
საქ. დამს. ჟურნალისტი

საქმის კეთების დიდოსტატი

ამ შეფასებას უცილოდ იმსახურებს ბატონი **თენგიზ გულორდავა.** მე, პირადად ძალიან ახლოს ვიცნობდი **გრიგოლ კობახიძეს,** 77-ე სკოლის დირექტორს, სსრკ სახალხო მასწავლებელს.

მერწმუნეთ, **თენგიზ გულორდავა** უფრო დიდია.

ამ ქვეყანაზე ყველაფერი შედარებითია. **გრიგოლ კობახიძეს** მუშაობისთვის გაცილებით უკეთესი პირობები ჰქონდა: მთავრობისგან ყოველმხრივი ხელშეწყობა, საუკეთესო ინფრასტრუქტურა (მაშინ სასწავლო-მატერიალურ ბაზას უწოდებდნენ), რასაც მოითხოვდა, უსიტყვოდ უსრულებდნენ.

გრიგოლ კობახიძე სულ ერთ სკოლაში მუშაობდა, „არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი“.

თენგიზ გულორდავამ კი ჯერ მე-5 სკოლა მოაძლიერა, შემდეგ გლდანულას 59-ე სკოლა „ფენიქსისებრ ფერფლიდან“ აღადგინა. საკუთარი მანქანით ეზიდებოდა სამშენებლო მასალას, ფიზიკურად ეხმარებოდა მუშებს.

ბოლოს, 106-ე თითით საჩვენებელი და მოთხოვნადი გახადა. დასკვნა მკითხველმა გააკეთოს.

ახლა დღევანდელობაზე: სკოლას ჰყავს ნიჭიერი პედაგოგი და ჟურნალისტი **ინა მეცხვარიშვილი.** მისგან შევიტყობთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

მსურს წერილს სათაურად ჰქონდეს:

„ხომ ლამაზია ეს ჩემი სკოლა, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა“

სკოლას ჰყავს 2 მენტორი მასწავლებელი – **გალინა მეცხვარიშვილი, ქეთევანი მიქაძე** და 11 წამყვანი მასწავლებელი – **შორენა იმედაიშვილი, ცირა ბახტაძე-ბეგლარაშვილი, ელზა ჭიკაძე, მაია გურასაშვილი, მაია ჩეკურიშვილი, მაია ზაალიშვილი, თამთა ქვაჭრელიშვილი, ჟანა ხელაშვილი, მაკა ბაჩანაძე, ლელა თენიეშვილი, თამარი ზირაქაშვილი.** ყველა დანარჩენი პედაგოგი კი ფლობს უფროსი მასწავლებლის სტატუსს.

სკოლამ წელსაც 6 პარალელური პირველ კლასი გახსნა. მრავალფეროვანი სასწავლო გარემო, რომელსაც ქმნის მაღალკვალიფიციური პედგოგთა გუნდი სკოლის ხელმძღვანელთან ერთად, მშობელთა ნდობას იმსხურებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სკოლა, თავის რეგიონში, ძალიან მოთხოვნადი გახდა და გაითქვა სახელი.

თხუთმეტ კურსდამთავრებულს ვულოცავთ მედალზე სკოლის დამთავრებას. 13 ოქროს და 2 ვერცხლის მედალს.

ოქროს მედალოსნები – **ლიზი გარსვანიშვილი, ანა მაკარიძე, ნინო მესროფაშვილი, გიორგი ნაცვლიშვილი, ანი სირაძე, ანასტასია სიჩევსკი, ლაურა უბილავა, ანამარია ქიმაძე, საბა ჩიტაძე, ქრისტინე ჯიბღაშვილი, ლიკა გაბოძე, თეიმურაზი კოკოზაშვილი, ვალერი ჭამიაშვილი.**

ვერცხლის მედალოსნები – **ნიკა მამალაძე, ნინო ჟღენტი.**

დაჯილდოვდნენ მოსწავლეები, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ გამოცხადებულ ვიდეო კონკურსში **„რა ძნელია უშენობა ჩემო საქართველო”** გამარჯვებისთვის. უღრმეს მადლობას ვუხდით ბატონ **ბაკურ სულაკაურს** და **სულაკაურის გამომცემლობის მთელ გუნდს,** ასევე თბილისის ზოოპარკის დირექტორს – ბატონ **ზურაბ გურიელიძეს** და მის მთელ კოლექტივს, სოციალური პასუხისმგებლობისთვის, მხარდაჭერისთვის,გულისხმიერებისთვის და მოსწავლეებისთვის გამოყოფილი საჩუქრებით მათი მოტივაციის ამაღლებისთვის.

ჩვენმა მესამეკლასელებმა გაზაფხული მოიყვანეს და გაგვითბეს გულები. მასწავლებელი **შორენა იმედაიშვილი.** მუსიკის მასწავლებელი **ლია მიქელაძე.**

კინგსის ინგლისური ენის ოლიმპიადის პირველი ხარისხის დიპლომის მფლობელი მე-5 (1) კლასის მოსწავლე **დემეტრე ქეცბაია**, ინგლისური ენის პედაგოგი **ნონა ყაჯრიშვილი.**

დღეს გაგაცნობთ **თამარ გეგიძეს**, მათემატიკის მასწავლებელს, რომელიც მუდამ ცდილობს, იყოს აქტიური და წინსვლაზე ორიენტირებული. **თამარ გეგიძის** ჩანახატმა **ალტერბრიჯის უნივერსიტეტის** მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ კონკურსში, რომელიც პედაგოგებისთვის ყოველწლიურად ტარდება, პირველი ადგილი დაიმსახურა.

პოეზიის დედოფალი ასი წლისაა. – ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა. მონაწილეობა მიიღეს ღირებულებითი განათლების კლუბის წევრმა და საბაზო საფეხურის სხვა მსურველმა მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოება ანას პოეზიას აზიარეს.

ერთი სიცოცხლე, ალბათ, გენიოსებისთვის არაფერია. ისეთი მგალობელი, როგორც **„ანა ბულბული”** იყო, სამუდამოდ რჩება ადამიანის გონებაში და სამუდამოდ იმკვიდრებს თავის ადგილს ხალხის სულსა და გულში. მიეახლები დარდით პოეტის საფლავს და გრძნობ, თითქოს წუთისოფლის წარმავლობის ცელი არ შეხებია მის სახელს... მიეახლები სევდით სავსე და არ გჯერა, რომ ანა აღარ ამშვენებს ქართულ მიწას... მაგრამ, განა ფიზიკური არსებობაა მთავარი, განა აუცილებლად უნდა დადიოდე ამ ცოდვილ მიწაზე, რომ უკვდავება დაიმკვიდრო?! უკვდავია ანას პოეზია, მისი სულის სინაზე და სიფაქიზე, რომელიც თაობებს შემორჩება. ეს არის პოეზია უკვდავებისა, ეს არის პოეზია სილამაზისა, სიხალასისა. ეს არის გაზაფხულზე ახლად ამოსული ბალახი, მორცხვი ია, ავარვარებული ბროწეულის ყვავილი, ასე საოცრად რომ ამშვენებს და აფაქიზებს ადამიანის სულს.” – **ნინო ხაჩიძე.**

მადლობა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას! ტექნიკური მხარდაჭერისთვის. მადლობა ისტის მასწავლებელს, **მარეხი მაჭარაშვილს**, მადლობა მამა თეოდორეს, მღვდელს **თეოდორე ფარნაშვილს**, გვერდში დგომისთვის.

ღონისძიებაზე მუშაობდნენ მასწავლებლები: **ნინო ხაჩიძე, ვერა ხელაია, მეგი გუმბერიძე** და **ნინო ქეშელაშვილი.**

ასევე, ანა კალანდაძის დაბადების დღეს გამოეხმაურა სკოლაში არსებული მკითხველთა კლუბი **„წიგნის მეგობრები“.** კლუბის წევრებმა, შაბათი დღე, მიუძღვნეს შემოქმედებას.

კლუბის ხელმძღვანელი ქეთევან მიქაძე.

სასწავლო წლის დასასრულამდე, სკოლაში კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა იგეგმება მოსწავლე-მასწავლებლების მიერ, რაც სასკოლო ცხოვრებას მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის.

ინა მეცხვარიშვილი

P.S. ბარათაშვილი მტკვარს მიმართავდა: როს მჭვუნვარება შემომესივის, შენდა მივილტვი განსაქარვებლად. მეც, როს დახმარება მჭირდება, თენგიზთან გავრბივარ. არასოდეს უთქვამს უარი.

ბორის კინდღელი

ქართული ფეხბურთის სიამაყე – მწვრთნელი გიგა ნორაკიძე 95 წლის გახდებოდა

ქართულ ფეხბურთის ერთ-ერთ გამორჩეულ ფიგურას გიგა ნორაკიძეს 30 მარტს 95 წელი შეუსრულდებოდა. იგი დაიბადა ქ. ოჩამჩირეში, ფეხბურთელის ოჯახში.

გივი ჩხეტია 28 მარტს 78 წლის გახდა

ოჩამჩირელთა კავშირი „ერთობა“ ულოცავს მშენებელს, ბატონ **გივის** დაბადების დღეს, უსურვებს წარმატებებს და წინსვლას, როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში!

კავშირ „ერთობის“ სახელით,

თენგიზ ნორაკიძე

ომარ ჟვანია 18 აპრილს 83 წლის გახდა

ოჩამჩირელთა კავშირი „ერთობა“ ულოცავს ფილოსოფოსს ბატონ **ომარს** დაბადების დღეს, უსურვებს წარმატებებს და წინსვლას, როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში!

კავშირ „ერთობის“ სახელით,

თენგიზ ნორაკიძე

ფეხბურთელი და მწვრთნელი

სიამაყე — გიგა ნორაკიძე 95 წლის გახდებოდა

იუბილარი – დაბადებული 30 მარტს, 1930 წ. ქალაქ ოჩამჩირეში ფეხბურთელის ოჯახში: მამა **ლევან-ბოჩია**, დედა **ზინა-ექიმი** და დაიკო მედეა-ბუტუსკა. დღეს მედეა და შვილი ლევანი ცხოვრობენ თბილისში. გიგა ნორაკიძის ხსოვნის დღეები დაიწყო **25 მარტიდან.**

ოჩამჩირის მუზეუმში – სახელად „ერთობა“ 25 მარტიდან მოდიოდნენ გიგას გამოზრდილი ფეხბურთელები, ძველი მეგობრები და იხსენებდნენ **გიგა ნორაკიძის** მიერ ფეხბურთში გავლილ გზას.

გიგა ნორაკიძე სხვასხვა დროს წარმატებით უძღვებოდა ქუთაისის, სოხუმის, ოზურგეთის, გორის, სამტრედიდიის საფეხბურთო გუნდებს და ყველგან წარუშლელი კვალი დატოვა. ამ პერიოდში მან ტალანტების აღმოჩენის იშვიათი ალღოთი ხელი შეუწყო და ფეხბურთელად ჩამოაყალიბა ისეთი ცნობილი სპორტსმენები როგორებიც იყვნენ: ო. გაბელაია, რ. შენგელია, თ. სალუქვაძე, ს. კუტივაძე, გივი და გოჩა ნოდიები, გ. ცხოვრებოვი, რ. ურუშაძე, რ. ძოძუაშვილი, გ. ცაავა და სხვები.

ბევრი რამ გაიხსენეს ქართული ფეხბურთის ვეტერანებმა და იმედი გამოთქვეს, რომ საქართველოში კვლავაც აღორძინდება უმდიდრესი სპორტული ტრადიციები და საქართველო კვლავაც დაიბრუნებს ღირსეულ ადგილს მსოფლიო ფეხბურთის ოლიმპზე, რომ კვლავაც გვეყოლება მომავალი პაიჭაძეები, ნორაკიძეები, მესხები, მეტრეველები, სიჭინავები და ა. შ.

დღეს, ჩვენ მუზეუმს ალამაზებს გიგას სახელობის თასი, სიგელები, დიპლომები, მედლები და სხვადასხვა ექსპონატები. ყველა სტუმარი იღებს სურათებს გიგას თასთან.

მოვუსმინოთ, რას ამბობდნენ ვეტერანი ფეხბურთელები:

გიგი ნორაკიძის სახელობის თასი

თენგიზ სულაქველიძე:

მე, **თენგიზ სულაქველიძე,** ნაკრების დონის ფეხბურთელი რომ გავხდი, **გიგა ნორაკიძის** დამსახურებაა. ასეთი სუფთა კაცი ფეხბურთში არ მინახავს.

რევაზ ძოძუაშვილი:

გიგა ნორაკიძემ მომცა ყველაფერი. ღმერთმა აცხონოს მისი სული.

ოჩამჩირელი ომარ ჟვანია:

გიგა ნორაკიძე სწავლობდა ოჩამჩირის პირველ საშუალო ქართულ სკოლაში. დედაჩემი იყო გიგას მასწავლებელი. მე, კარგად მახსოვს დედაჩემის სიტყვები: გიგა იყო ნიჭიერი და ყურადღებიანი მოსწავლე.

ვინ ესწრებოდა ჩვენს მუზეუმში ამ იუბილეს?

„დინამო“ თბილისის ვეტერანი ფეხბურთელები და ცნობილი ადამიანები.

რევაზ ძოძუაშვილი, ვახტანგ ქორიძე, თენგიზ სულაქველიძე, გრიგოლ ცაავა, მანუჩარ მაჩაიძე, ზორბეგ ებრალიძე, „დ“ თხ. და **მამუკა კვარაცხელია** ფეხბურთის ფედერაციიდან.

ოჩამჩირის **„ერთობა“, თამაზ ჩიქობავა, ომარ ჟვანია, გივი ჩხეტია, დილარ კემულარია, რაულ ჯანაშია, ნოდარ კობახიძე, ოთარ წურწუმია, დავით ძალამიძე, თამაზ ჩხვირკია, თამაზ კალანდია, თემურ ჩიქობავა და საიუბილეო საღამოს ორგანიზატორი თენგიზ ნორაკიძე**

თენგიზ ნორაკიძე,
სპორტის ოსტატი

თამაზ ჩიქობავა,
ვიცე-პრეზიდენტი

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე
593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N3 (4626)
23 აპრილი/ 2025 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან
ISSN 1987-9113
9 771987 911009